

S 72 / 2
1959

საბავშვო
აზროვნება

ღელა

აქვით, ტყუპ ღვინა
იღინა, იური შინა,
და ზეზ ჰმადლო, სწავლით
სამსილო კაცბრე!

№ 5

საბავშვო, აკა სანბარაძე კომიტიონა ზა
3. ი. ცინციის საბავშვო, ნორა პირველი
ორბინიანი სასაბავშვო საბავშვო შინაში

8 ბიბი
1959



1 მ ა ი ს ი

მთები,
ზღვები,
მინდორ-ვედი
გაზაფხულის შუქით ეღაფს.

ზანგი,
ფრანგი,
ინდოელი
სამაისოდ მღერის ყველა.


მშვიდობისთვის ბრძოლის დღეა,
ხალხთა ძმობის დღე დღია,
ანთებულა ნაირფერად
ჩვენი ქვეყნის განთიადი.

ქუჩა ამდენ ხალხს ძღვივს იტევს,
ზეცა—ამდენ დროშებს გაშლილს,
და გუფუნებს კიდით-კიდე
სიმღერა და მწყობრი მარში.

ჩვენც მოვდივართ, მოვიმღერით,
ჩვენც შევხართ მშობედ მხარეს
და აღამი ოქტომბრედის
მოგვაქვს დაღად მოფრიადე.

ჩვენს აღამზე მოკაშკაშე
ვარსკვლავია დახატული,
და მომავლის ნათედ გზაზე
ვარდებს გვაყრის გაზაფხული.

იოსებ ნონაშვილი



7738

ჩვენს მეზობლად აგარაკზე ერთი პროფესორი ცხოვრობს. მის გოგონას ლენიკო ჰქვია, მამას ის ძალიან უყვარს. პროფესორს ახალთ-ახალი, კრიალა მანქანა „ვოლგა“ აქვს და ისიც უყვარს.

ერთხელ პროფესორი ქალაქიდან დაბრუნდა, დალია რძე და დასაძინებლად მიწვა. მანქანა კი სახლის წინ დააყენა. ქურდები ჩვენ იქ არ გყავდა, არც ხულიგნები გვერია და ამიტომ არ ეშინოდა.

დილით პროფესორი ადგა და ქალაქში წასასვლელად მოემზადა. გამოვიდა და რას ხედავს: მანქანის კარი სულ მთლად დაფხაჭნილია.

მაშინვე ლენიკოს დაუძახა და მკაცრად უთხრა:

— მე ხომ შენს სათამაშოებს ხელს არ ვახლვებ. განა არ შემიძლია შენი დათვით ფენსაცმელი გავდებრალო, მაგრამ როლი ვაფუჭებ...

— რას ამბობ, მამილო! — იცინის ლენიკო, — აბა, დათვებით ვინ იბრაილებს ფენსაცმელს?

— სწორია, სათამაშო დათვებით ფენსაცმლის გაპრიალება ჭკვიანური არაა. მაგრამ მანქანის კარზე ასოების დაფხაჭვნა შენი აზრით გონიერულია?

ღამნაშავე

— რასაკვირველია, არა! — თქვა ლენამ, — წერა და ხატვა რვეულში შეიძლება... ქვიშაზე, მაგიდაზე, ბოლოს და ბოლოს კიდევ...

— მაშ მანქანაზე რაღად დასწერე?

— მანქანაზე? — გაიკვირვა ლენიკომ. — არა გრცხვენია, მამილო, ამას რომ მაბრალებ? — და გოგონა ატირდა.

პროფესორს გარაჟში მანქანის კარი შეუღებეს და გაუკრიალეს. და აი, იგი ისევ ჩამოვიდა აგარაკზე, დალია რძე და დაიძინა. დილით კი მანქანის კარი კვლავ დაფხაჭნილი დახვდა.

მაშინ პროფესორმა ბავშვები შეკრიბა და უთხრა:





— ეტყობა, აქ პატივის არ მცემენ. ახლავე მივდივარ აქედან და აღარ დაბრუნდები. ლენა, უთხარი დედას, ბარგი ჩაალაგოს.

ლენიკოს არ უნდოდა აგარაკის დატოვება, მაგრამ რას გააწყობდა! დედასთან ტირილით წავიდა. პროფესორმა კი ჩემოდანში წიგნების ჩაწყობა დაიწყო.

ამ დროს მათ სახლს მეზობლის ბიჭი აშარი საშუა მოაღდა, აძვრა ფანჯარაზე და პროფესორს ჩურჩულით უთხრა:

- ვიცი, დამნაშავე ვინც არის!
- ვინ არის?
- რომ გითხრა, მომცემ კამფეტებს? პროფესორი დაფიქრდა:

— მართალს თუ მეტყვი, მოგცემ.

— ჩემი თვალით ვნახე, „ჩუმჩუმე-ლა“ როსტიკი ფხაჭნიდა...

— კარგი, თუმცა კარგი კი არა, ძალიან ცუდია, — თქვა პროფესორმა. შემდეგ მომართა მანქანა და წავიდა.

რომ დაბრუნდა, მანქანა კვლავ ჯიხურში დააყენა და ჯიხურს კლიტე დაადო.

ლენიკო მთელი დღე ტიროდა და

— გამოტყდი, ბიჭებო, ვინ დაფხაჭნა მანქანა. სიტყვას გაძღვეთ, დამნაშავეს არ დავესჯი.


ბიჭები კი ჩუმად იდგნენ. პროფესორმა მანქანიდან კამფეტებიანი პარკი გამოიტანა და თქვა:

- თუ დამნაშავე გამოტყდება, მას ამ კამფეტებს სულ მივცემ.
- ბიჭები მაინც სდუმდნენ.

პროფესორმა ცოტა კიდევ მოიცადა, შემდეგ კამფეტები ბავშვებს დაურიგა და უთხრა:

— მაშ კარგი, რაკი ასეა, მანქანით აღარავის გავასეირნებ! — და მანქანა ჯიხურში დააყენა.

ღილით კარი ისევ დაფხაჭნილი აღმოჩნდა. ახლა კი ძალიან აღელდა პროფესორი:



ადრე დაიძინა. სამაგიეროდ დილით ყველას დაასწრო ადგომა, ჯიხურთან მიიბინა, კლიტე მოსინჯა, ქუჭრუტანაში შეიხედა და დაინახა, რომ თეთრ მამალსაც გაღვიძებოდა. „ყუელიყუო!“ დაამღერა, მიწას ჯერ ერთი ფრთა გაუსვა, მერე—მეორე, შეიბერტყა. შემდეგ მანქანასთან მივიდა და რას ხედავს! სარკესავით კრიალა კარიდან პირდაპირ მისკენ მერე თეთრი მამალი მოდის.

აგერ ნამდვილმა მამალმა ნაბიჯი წინ წადგა, მეორეც ასევე მოიქცა. მამალმა თავი ასწია, მეორემაც ასწია...

უეცრად მოიქნია მამალმა ფრთები და მეორე მამალს შეებრძოლა. ნისკარტით, ღეზებით, ბრჭყალებით სცემს, ჩხაპნის... ქათმები კი გარშემო დგანან, უყურებენ და ერთმანეთს ეუბნებიან:

— ხედავთ, რა გულადი მამალი გვეყოლიაო!

ლენიკო უმალ შინ გაიქცა და მამა გააღვიძა:

— მამილო, მამილო, მოდი ჩქარა! ნახე, ვინ ყოფილა დამნაშავე!

პროფესორმა ნახა და გაეცინა. ხოლო როდესაც კვლავ ჩამოვიდა აგარაკ-




ზე, მანქანა სახლის წინ დააყენა და კარებზე ტომრები ჩამოჰკიდა. ახლა აღარ ეშინოდა: ქურდები ჩვენ იქ არ გვეყავა, არც ხულიგნები და ვერც მამალი მიეკარებოდა.

მოულოდნელად ტერასის ქვევიდან „აშარი“ საშუა გამოძვრა და ბოხი ხმით ჰკითხა:

- კამფეტები ჩამოიტანე?
- ჩამოვიტანე, — მიუგო პროფესორმა.
- მაშ, მომეცი!
- კარგი, — უთხრა პროფესორმა და ბავშვებს დაუძახა.

როდესაც ბავშვები მოგროვდნენ, პროფესორმა მათ კამფეტები დაურიგა, საშუას კი ერთი ცალიც არ არგუნა.

თარგმანი თ. იზაშვილიხა



პ ა რ კ ი

ლ. პრაპე

ნახატები
დ. ნოღიაი

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში არის ერთი დიდი პარკი, რომელსაც „მხიარული პარკი“ ჰქვია. იცით, რატომ ეძახიან ასე? იქ იმდენი გასართობია თავმოყრილი, რომ მართლაც იმხიარულებთ და გულიანად იცინებთ. საინტერესოა კი ის არის, რაც უნდა მოინდომოთ, ამ გასართობების საიდუმლოებას წინასწარ ვერ მიხვდებით.

რიკული მთები“ ჰქვია. მიახლოებისას საშინელი წივილ-კივილის ხმა მოგვესმა. ჩვენ პირველად ვიყავით ამ პარკში და ძალიან გაგვიკვირდა. ვერ გავგეგო, რა ხდებოდა იქ! აი, ჩვენთანაც მოსრიალდა პატარა, ღია ვაგონი. შუგ ოცი კაცის ადგილი იყო. ორ-ორად დავსხედით. პირველად ვაგონი ნელა დაიძრა, შემდეგ თანდათან უმატა



სვლას. ბოლოს კი ისე სწრაფად აიჭრა ლიანდაგების მთაზე და ისე უცბად დაეშვა, რომ ყველამ უნებურად შევკვივლეთ. ვაგონში ხელის მოსაკიდი არაფერი იყო, თანაც ქვევით დაქანებისას გვეგონა, ლიანდაგებს შუა გადებული რკინები უსათუოდ თავს წაგვანწებტსო. მაგრამ რა ტყუილად გვეშინოდა! როცა ჩვენი ვაგონი დაეშვებოდა, რკინები ძალიან მაღლა რჩებოდა.

ვაგონში ჩვენთან ერთად უნგრელი ბავშვებიც ისხდნენ, თან უფროსი—დედა ან მამა ახლდათ. ბავშვებს შიშისაგან ფერი აღარ ედოთ, მაგრამ ვაგონიდან ჩამოსვლის დრო რომ დადგა, ნურას უკაცრავად, მატარებლის დატოვება არც ერთმა არ ისურვა. — არ ჩამოვალ!—იძახდა ერთი პატარა ბიჭუნა.

— კიდევ დავრჩები რა!—ეხვეწებოდა დედას მეორე.

მაგრამ ამის გარდაც ხომ ბევრი. ბევრი გასართობი ელოდათ...

საოცარი რკინიგზა

სი, შევედით პარკში. მაშინვე თვალში მოგვხვდა მაღალი მთებივით ამართული საჰაერო რკინიგზა. ლიანდაგები ხან მაღლა მიემართება, ხან ძირს ეშვება. ზედ პატარა ვაგონები დასრიალებენ. ამ გასართობს „ამე-



„ს

„მასეში“

წერილებულს აჩენდა. ასეთი სარკეები თბილისშიაც გინახავთ ალბათ!


უცებ იატაკიდან ისეთი მშუილით ამოვარდა პაერის ნაკადი, რომ ბავშვები შიშით ერთმანეთს მიეკვრნენ. მაგრამ როცა ამ ხელოვნურმა ქარმა პატარა გოგონას ნაკებნიანი კაბა თავზე წამოახურა, ყველამ ბევრი იცინა.

იცილის სასახლიდან მერე სართულზე ხის კიბით ავედიო. გგონიათ, ჩვეულებრივი კიბეა და არხეინად შეებოჯებო, მაგრამ კიბე ისეთ უანუალს და ქანაობას დაიწყებს, რომ ძლივს ააღწევთ მერე სართულს.

აი, უკვე სამშვიდობოს ვართ. წინ მხოლოდ ვიწრო დერეფანია გასავლელი. მაგრამ დერეფნის იატაკი მოძრავი ყოფილა, დიდი სისწრაფით მისრიალებს და თუ არავინ წამოგეშველა, ძნელია გავლა. გვეგონა, ამასაც გადავჩიოთ, უცებ მერე ბნელი დერეფანი დაგვხვდა წინ. მივიღვართ ძალიან ფრთხილად, ვიცით, სადღაც „მახეა“ დაგებული. ნეტავ რა მახე იქნება?! ამ ფიქრში რომ ვიყავით, უეცრად, ჩვენდაუნ-

სიცილის სასახლე

ხლა „სიცილის სასახლეში“ შევედიო. გაგიკვირდებოთ, რატომ ჰქვია „სიცილის სასახლე“-? იმიტომ, რომ შეხვალთ შიგ და ძალიან, ძალიან ბევრს იცინებთ. შესასვლელთან რბილი სავარძელი დაგვხვდა. გვინდოდა ცოტა დაგვეხვენა და ჩამოვსხედით. უცბად სავარძელმა ისე დაბლა დაიწია, რომ იატაკს გაუსწორდა. იქვე სკამები იდგა, ჩვენ იმაზე გადავინაცვლეთ. სკამებმა კი ხტუნვა დაიწყეს და სწრაფად წამოგვახტუნეს ზეზე. კედლებზე სასაცილო სარკეები იყო ჩამოკიდებული. დავდექით მის წინ და სიცილს ვერ ვიკავებდით. პატარა გოგონები ხომ სულ კისკისებდნენ, როცა თავიანთ თავს სარკეში ხედავდნენ: ზოგი ბურთივით ჩამრგვალებული და დაბადლებული ჩანდა, ზოგს სარკე აწოწილსა და გა-





საბავშვო თვითმფრინავი



არკში ბავშვებისათვის მოწყობილია საბავშვო თვითმფრინავი. ის ჯაჭვით არის ანძაზე მიბმული და ოცდახუთი მეტრის სიმაღლეზე ააქროლებს პატარა მგზავრებს. იქვეა ერთი დიდი დარბაზი, შიგ რამდენიმე მანქანა დასრიალებს. მანქანებს საქე და სიჩქარის მოსამატებელი პედალიც აქვს. საითაც გინდა, იქით წაიყვან. ამ უცნაურ მანქანაში ორი ბავშვი თავსდება. იცით, როგორ მოძრაობენ ეს მანქანები? ჭერზე დაეღექტრობებული ბადეა გაბმული, იქიდან წვრილი მილი ჩამოდის და მანქანას უერთდება. დაირეკება ზარი, ჩაირთვება დენი და დაიწყებენ მანქანები სრიალს. ხუთი წუთის შემდეგ ისევ ზარი ამცნობს ბავშვებს, ჩამოდიო, ახლა სხვების ჯერიაო.

პარკში ათასგვარ კარუსელს შეხვდებით: აი, ბავშვებმა მაღალი კიბე აიარეს, რბილ სკამებზე მოკალათეს და კარუსელიც დატრიალდა. პატარა მგზავრები ზემოდან გადმოგვცქვირან და მხიარულად გვიჩვენებენ ხელს.

ჩვენ მიხვეულ-მოხვეულ გამოქვაბულში შევედით. თითქმის ბნელა, არაფერი ჩანს, დაქანებულ კლდეებზე წყალი მოწანწყა-

ბურად, შემოვტრიალდით. აქ თურმე იატაკი მრგვლად ყოფილა ამოჭრილი და ის ტრიალებს. სიბნელეში ვერ დანინახავთ, ხოლო როცა ფეხს დაადგამთ, სწრაფად შემოგაბრუნებთ და ისევ განაგრძობთ გზას.

ახლა გვირაბი უნდა გაგვევლო. იგი არც თუ ისე გრძელია, ოღონდ სულ ტრიალებს. აქეთ-იქით ვიხედებით, გვინდა ვახსენვლეი სხვა გზა მოვნახოთ, მაგრამ ამაოდ. მაშინ ჩემმა ამხანაგმა ხელი მომიკიდა და მითხრა:

— რისა გეშინია, წავიტყვევით, მეტი ხომ არაფერი მოხდება! — და გაბედულად შემიძღვა შიგ.

მაგრამ ჩვენი შესვლა და თავდაღმა გადასირავება ერთი იყო. ვიდრე უნგრელები არ მოგვეშველნენ, ფეხზე ვერ წამოვდელით. დანარჩენებიც მათ გამოიყვანეს. გვირაბის მეორე მხარეს კი აუარებელი ხალხი იდგა და გულიანად ხარხარებდა.

რებს, ირგვლივ პატარა გუბეები დგას, იქით ვიწრო ხიდეზია გასავლელი. გგონია, სადღაც უდაბურ ადგილას მოხვდი და უცებ... საკუთარი თავს ხედავ, —ეს სარკეა ხელოვნურ კლდეში ჩადგმული.

შემდეგ ნავში ჩავსხედით, რომელიც ხელოვნურ მდინარეში მიცურავს. წყალი ისე სწრაფად მიექანება, რომ ნიჩაბი საჭიროც არ არის.

მერე სხვა ნავში გადავსხედით. უეცრად ჩვენი ნავი დიდი ჩანჩქერიდან ძირს დაეშვა პირდაპირ წყალში. გვეგონა, შიგ თავდაუიწრა გადავცვივდებოდით, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. წყლის მხოლოდ ორიოდღე შხეფი მოგვესხურა სახეზე და ნაპირზე გავედით.

„ვენეცია“

ინ ჩამოთვლის, რამდენი გასართობია ამ პარკში. ყველაფრის დათვალიერებას, აბა, როგორ მოვასწრებდით! ჩვენი იმდღევანდელი თავგადასავალი „ვენეციით“ დამთავრდა.

შვედით ერთ დიდ სვეტებიან შესასვლელში, იქიდან მშვენივრად მოჩანს დიდი მდინარე და გონდოლები. ჩასხდებით ამ გონდოლებში და თავი იტალიის ქალაქ ვენეციაში გგონიათ; მენავე იტალიურ სიმღერებს მღერის, მიცურავთ ვიწრო არხებში, ათვალიერებთ ლამაზაინიან ვენეციურ სახლებს... შემდეგ ნავი ოდნავ ბნელ არხში შედის, ზემოდან ხელოვნური მთვარე ანა-

თებს, ჩხრიალებენ შადრევნები, ხან სულ მალღლებიან, ხან სულ დაბღლებიან, სხვადასხვაფერად ელვარებენ. მალე ეს ზღაპრული „ვენეცია“ ისევ ნათლება და ნავი კვლავ ბუღაპეში ბრუნდება.

პარკში უნგრელ ბავშვებს გამოვესაუბრეთ და თბილისიდან წაღებული სურათები და სხვა ნივთები დავუტოვეთ საჩუქრად. როცა დავეშვიდობეთ, გვთხოვეს, სამშობლოში დაბრუნებისას გულთბილი სალამი და კეთილი სურვილები გადმოგვეცა თქვენთვის, საბჭოთა ბავშვებისთვის.



იწილქ,

იყო ერთი კრუხი. იმ კრუხს ბევრი წიწილა ჰყავდა. მათ შორის კი ყველაზე ცელქები იწილო, ბიწილო და წიწილო იყვნენ.

ვინ იცის, რას არ სალიოდნენ, ტკოდნენ ასკინჯილით. გარბოდნენ ხან აღმართზე, ხან დაღმართზე.

ერთბილიად, შეიგებო, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს!—აფრთხილება და ღვინა და სწორედ კოკასთან დატრიალდა უბედურება.



იმ დღეს დილიდან ეკირათ თვალი იწილოს, ბიწილოს და წიწილოს სამზად სახლისაკენ: დიდგდა ქეთევანს ღომის მარცვლი დაეზნაო. იკვირტიბოდნენ ღია კარში, იჩენება შევიპართო, მაგრამ დიდგდა ქეთევანი ხელის აქნევით იმორგებდა მათ: აქში, აქშიო!—და ბუჭართან ფუსუსესება.

— მჭადებს აცობებს!—ამბობდა იწილო.

— შეწანილს არჩებს!—მოჰქონდა ამბავი ბიწილოს.

— ყველს იღებს დერგიდან!—ზურჩულვებდა წიწილო.

— ეჰ, საჭეს რა გამოღვებს!—თქვენს სამივემ ბოლოს და დაღობდნენ. ვანა

ბიწილქ,

დიდი ხნით? ერთმანეთს ერთბიტი გამკრეს და წასწურულეს: მიღის, მიღისო. მართლაც სამზად სახლიდან ქალი გამოვიდა, მას ოროშზე დაღოვებული თბილ-თბილი მჭადები მოჰქონდა მაღლა აწეული, მჭადების ზემოთ კი ყველაინი ჯამი იდგა გვირგვინივით. მწვანილზე ნუციოს ჩამოვხვავნი, თან კარს გაეკეტესო,—თქვა და ოღის კიბეებს აძევა.

სწორედ მაშინ იხელვებს ღრე იწილომ, ბიწილომ, წიწილომ და შესციე-



დნენ სამზად სახლში. დანარჩენი წიწილებიც თან გაიყოლეს. შეიქნა ერთი წიოკი: ვინ ცხელ კეცზე დააბიჯა და აწივლდა: ვინ ბუჭარში შეხტა და ცხელმა ღადარმა დასწევა.

— კრუ, კრუ!—დასდევდა ფრთებგაფოფრილი კრუხი წიწილებს, ყველა შეაქუჩა, ყველა დააყუჩა. მხოლოდ იწილოს, ბიწილოს, წიწილოს გვირგვინი მოუხერხა.—ისინი ხან გობს უნისკარტებდნენ, ხან ჯამებს.

— უჰ, უჰ, რა გვირგილია!

წიწილქ

— ი, ი, რა საცკეო მოვდანი!—გაიძახოდნენ ისინი და გობს კიდეს ფრთებგაშლილი უელიდნენ. ბოლოს შეფრთხილდნენ კოკის გაბერილ შუტელზე. შუტელიდან სა-



ხელურზე. იქიდან კი კოკის მრგვალ პირზე.

— კრუ-კრუ!—შეშოთდა კრუხი.—ჩამოღის, თქვე ონავრებო, ჩამოფრინდით ძირს!



მაგრამ იწილო, ბიწილო, წიწილო ფრთებსაც არ იბერტყავდნენ დახტოდნენ კოკის პირზე, კოკამიც იცქირებოდნენ.

ახლა კრუხის ნათქვამი: კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო. დაუცდა ფენი იწილოს, ვაქრა გვერდი ბიწილოს. წამარბაცდა ბიწილო, გამოსდო სარმა წიწილოს და ჩაკვიდნენ სამივენი შუტელგაბერილ კოკაში.

— წიავ, წიავ!—წიოკობდნენ წიწილები. ფრთებგაფოფრილი კრუხი კი სიშფრისავან კოკს გუიქებოდა.

ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ სამზად სახლში ამ ღრის ნუციოს არ მოგვრბინა.

— რა ვაწიოკებთ, რა?—დაუტრა წიწილებს ნუტამ მაგრამ კრუხს კოკას თან ატოფრილი რომ დაინახა, იფიქრა: აქ რაღაც ამბავიაო, და კოკაში ჩახვდა. საცოდანვე ფართხალმდნენ წყალში წიწილები.

გადმოაყირავა ნუციომ კოკა გაღმობისა კოკიდან წყალი და გაღმოქვენენ წყალს გაწეული იწილო, ბიწილო და წიწილო.

ნუციომ თავდაყირა დაჰკიდა ისინი, წყალი აქეთ წაყლიპიო. გაღმობის წიწილებმა ნისკარტებიდან წყალი.

— გაღარჩით, თქვე უმკუცებო!—უთხრა ნუციომ და მიწაზე დასვა,—ახლა მზეზე გავრითო.

აი, რა უყო მტრის მტემა ცელქობამ იწილოს, ბიწილოს და წიწილოს!

ქვიშა

ზ. შარაზალიშვილი

მამუკასა და გურამს
თმები ავესოთ ქვიშით,
ველარ მიდიან სახლში
თავისი დედის შიშით.
მაშ რა ვგონათ, ერთურთს.
რომ შეაყარეს ქვიშა,
ხედად უპოვნით დედა
კაი კაცობის ნიშანს!



აზირება

ამ პატარა მანანას
ცაღვე წოლა აშინებს,
თუ დედოკო არ უწევს,
ატირდება მაშინვე.



ბოკვერი და ბეკეკა

აფრიკული ზღაპარი

ერთხელ ბოკვერი და ბეკეკა მთის ფერ-
ღობზე შეხვდნენ ერთმანეთს და ბევრი ითა-
მაშეს. საღამოს შინისაკენ გაეშურნენ. ბო-
კვერმა დედასთან მიიბრინა და უთხრა:

— დედოკო, დღეს იცი, რა კარგად ვითა-
მაშე ბეკეკასთან?!

— რა სუდედი ყოფილხარ!—დატუქსა დე-
და ვფხვმა,—მამაშენის ღირსეული შვიდი
არა ხარ? ბეკეკა უნდა მოგვჩინო და აქ
მოგეტანა. ხვალ უმპვედად შეხვდი და ტყე-
ში გამოიტყუე. ასე იქცევიან ნამდვირი
ვეფხვები.

ბეკეკაც მიბაკუნდა თავის დედასთან და
უთხრა:

— დედოკო, იცი, დღეს რა კარგად ვი-
თამაშე ბოკვერთან?!

დედა თბა შიშმა აიტანა.

— ვაი ჩემს თავს, ეგ რა გიქნია! მამა-
შენმა აკი გასწავლა, ვეფხვები ჩვენი მტრე-
ბი არიანო. ხვად აღარ გაჰყვე, თორემ ტყე-
ში შეგიტყუებს და შეგსანდაც.

მეორე დღეს ბოკვერი მართლაც მივიდა
ბეკეკასთან და შესძახა:

— ბეკეკო, ბეკეკო! გამოდი, გუშინდე-
ღვით ვითამაშოთ!

— ვერ გამოვად!—გამოსძახა ბეკე-
კამ,—როგორც შენ დაგარიგეს სახლში, მეც
ისევე დამარიგეს. ჩვენ ერთად ველარ ვითა-
მაშებთ!

ბოკვერი კუდამოქლებული გაბრუნდა შინ.
დედამ ჰკითხა: ბეკეკა რა უყავიო?
— გაუგია, ვინცა ვბრძანებდი!—წაი-
ღულუნა ბოკვერმა.

ნახატები მ. ანსომაძისა





ნანა, ნანა, ნანაო,
დაიძინე, ანაო!

ქათმებმა თქვეს კაკანით:
— დაგურწოთ აკვანი! —


— სსს! — ბატი ყიყინებს:
— ჩვენი ანა იძინებს!

ინდაური შორს მიდის,
არ დადგებთ აქაო:
— „ყურღუმ-ბურღუმ“ წამსდება,
ანდა: „კავ-კავ-კავ-კავო“.

იხვი ამბობს: — არაფერს
მე არ ვიტ-ვიტ-ვიტყვიო,
ოღონდ ბაყაყს უთხარით:
არ თქვას „ყუა-ყი-ყიო“.

მოდის ღვეკვი ბაჭურა
კულის ქიცინ-ქიცინით,
ანას ხედავს აკვანში,
უხარია, იცინის!

ყველა უმღერს ნანინას:
— ნანი, ჩანა, ნანაო!
დაგურწოთ აკვანი,
დაიძინებს ანაო!





ჭიშკრი კუჭდღაული

უზბეკური ზღაპარი

ნახატები მ. სხადაძისა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა კურდღელი. მეთხახელად ჯიუტას ეძახდნენ. რადგან არავის უჯერებდა.

ჯიუტას ძალიან უყვარდა სეირნობა. ერთხელ მამამ სახეღარი უყიდა, რომელსაც პატარა ჩოჩორი მოჰყვა. ჯიუტა მოაჯდა სახეღარს და დედისთან სტუმრად წავიდა. გზად ეკალბარდი უნდა გაეცლო.

— დაბრუნდი, ჯიუტა, ეკალბარდში მარტო სიარული საშიშია, — შიშობებს ძმებმა.

ჯიუტამ პასუხად თათი აუქნია და არხინად განაგრძო გზა. სახეღარს სახრით მიერეკება, ჩოჩორი კი უკან მისდევს ბაკუნ-ბაკუნით და ეფენის წყრიალით.

ეკალბარდში სამი მელია ცხოვრობდა: დედა მელია, მამა მელია და პატარა მელაკუდა. მელაკუდამ ყური მოჰყრა. — სადღაც ეფენი წყრიალებსო, და თქვა:

— ეს ჯიუტა მოერეკება თავის სახეღარს. უკან კი პატარა ჩოჩორი მოსდევს.

— მაგას ვაჩვენებ, როგორ უნდა ჩვენს ეკალბარდში სიარული! მე სახეღარს წავართმევ! — თქვა დედა მელიამ.



— მე ჩოჩორს წავიყვან, — დაეპაღნა მამა მელია.

— მე კი ტანაცემელს გავხდი და შიშველს დავტოვებ. — დაუშაბა მელაკუდამ.

აი, ჯიუტამ უფიქრად ბარდებს მ... წია. შუადღემაც მოატანა, დაცხა. ჩოჩორი დაიღალა, ფეხებს ძლივს მოათრევს. ჩოჩორი არსად დამეკარგოსო, ჯიუტა შიშით სულ უკან იხედება.

„კიხერს ტყუილად რად ვიღლი, ეფენი თუ წყრიალებს. მამ ჩოჩორიც უკან მომდევს!“ გაიფიქრა ბოლოს და უკან აღარ მიუხედავს.

მამა მელიასაც ეს უნდოდა. მიეპარა ჩოჩორს, ეყვანი შესხნა, სახედარს კულზე გამოაბა და ჩოჩორი წაიყვანა.

მიღის ჯიუტა, უკან ეყვანი წკრიალებს. არ-ხეინდალა... ასე მიადწია გადასახვევამდე.

უცებ ბუჩქებიდან დედა მელია გამოხტა:

— ეი, მოკლეთკუღავ! მარტო ხაით მიეშურები? შეშინდა ჯიუტა, გულში გაჰკრა, —ამ ცბი-ერმა ჩოჩორი არ წაიყვანოსო. უკან მიიხედა და რას ხედავს ჩოჩორი არასადა!

— ვაი მე უბედურსს!.. სადა ხარ. ჩემო ჩო-ჩორო! —ატარდა ჯიუტა.



გაიქეცო. მოიყვანე. მე კი მანამდე სახედარს მივხედავ.

გაეხარდა ჯიუტას, ჩამოხტა უნაგირიდან და უკან, მოსახვევისაკენ გაიქცა. დედა მელია კი მოაჯდა სახედარს და ბუჩქებში შევიდა.

მიიჩინა ჯიუტამ მოსახვევამდე, მაგრამ ჩო-ჩორი ვერსად დაინახა. უკან გამოიქცა და—სახე-დარი აღარ დახვდა. შეშინდა ჯიუტა: მეც არ დამიბერონო, და მოკურცხლა.

გუბებსთან რომ მიიჩინა, შეჩერდა. უნდოდა წყალი დაეღია, გუბის პირად კი მელაკუდა ჩაიუ-ცქულა და ცხაზე ცრემლით ტირის.

— რა გატირებს? —ჰკითხა ჯიუტამ.

— თუ, ძამია, დედამ ოქროს ფული გამომატა-ნა, ბაზარში წაღიო. მე კი ფული წყალში ჩამო-ვარდა. ახლა დედა ცემით მომკლავს. —და მელა-კუდა უფრო მწარედ ატირდა.

შეეცოდა ჯიუტას და დამშვიდება დაუწყო: — ნუ ტირი. ცრემლით საქმეს ვერ უშველი! მელაკუდამაც მოიწმინდა ცრემლები და ჰკითხა:

- ცურვა იცი?
- ვიცი, —მოუგო ჯიუტამ.
- მაშ, ამომიღე ფული და ას გროშს მოგცემ
- ას გროშს? —მაგ ფასად ახალ სახედარს და ჩოჩორს ვიყიდი, — გაიფიქრა ჯიუტამ. გაძრო ტანსაცმელი და გუბეში შევიდა.
- ბევრი ეძება ჯიუტამ ოქრო. მაგრამ ვერაფერი ნახა. როდესაც წყლიდან ამოვიდა—აღარც მელა-კულა დახვდა და აღარც ტანსაცმელი.
- რადას იზამდა, დაბრუნდა შინ უშეველი.

თარგმანი თ. სულიაშვილისა

მელიამ კული გააქნია და ჯიუტას აღერსია-ნად უთხრა:

— ნუ ტირი, უურცქვიტავ: შენი ჩოჩორი აი. იმ მოსახვევში დგას და არ იცის. ხაით წავიდეს.



საგანგებოდ ვაფრთხილებ
მაგრამ არ ეყურება,—
თათი ქოთანს რომ ახლოს,
თავზე დაეხურება!

ლათვის ჩელი ლათუნა

პარო კალაძე

ნახატები მ. შოშინიძისა



მამაცია! ვინ იცის
სად ყოფილა, სად არა,
უღრან ტყეში უნახავთ
უბინადრო პატარა.

ახლა ჩვენი დერეფნის
არემარეც არ ეყო,
შემოგვხვდება კარებთან,
შინ რომ ზარი დარეკო!

დავედევს თანატოლივით,
თუმცა დათვის ბელია,—
ჩვენთან ერთად თამაშობს,
ჩვენი მადლობელია!

ლღეს პირველად ეზოში
გავიყვანეთ ღათუნა,
გაიხარა, ყვავილღებს
თათი მიუთათუნა.

დაბაჯბაჯებს, დაგორავს.
კარგად რბენაც არ იცის,
მაგრამ ცდილობს... მცცა ვარ
მოწმე მისი ხალისის!

ისე ფეხს ვერ გადადგამს,
თუ არ გადაყირავდა,—
დაფათურობს მინდორზე
მაინც გასაკვირადა!



დათვის ბელი ასეთი
არსად მოიპოვება,
სულ რომ გადაიკითხოთ,
მგონი, ყველა პოემა.

უცნაური რამ არი
ჩვენი უცხო ძმობილი,—
ამას წინათ გვეწვია
უცებ ავტომობილით!

ბიძაჩემის მკლავებზე
ედო თავსასთუმალი,
ჩუმად გვიტვალთვალღებდა
შუამთელი სტუმარი.

ღარბის, მერე დატუნავს
და მთელ ეზოს აცინებს,
სანამ ვინმე თავიდან
ქოთანს არ მოაცილებს.

საეშმაკოს ყოველთვის
გამონახავს, თუ უნდა;
აგერ, შედგა მორზე და
მორი გადაუბრუნდა!

აგერ: სკაა ეზოში,
აღმათ სკამი ჰგონია,—
თორემ სკაზე დაჯდომა
მე არ გამიგონია!



ყურიც კი არ მათხოვა,
დროზე როცა ვუთხარი.
ახლა მოიგერიოს
დასეული ფუტკარი!



დედოფალა

ის ყველაზე ღამაზია
და ყველაზე ჭკვიანი.
თვადებს ახელს, თვადებს ხუჭავს,
როგორც ადამიანი.

რომ მიყიდა, დედიკომაც
ყვედას ის ამჯობინა,—
ჩემი დღეო, ჩემი კოხტა
პაწაწინა თოჯინა.

ჩვენს დიდ სახლში ვისაც ჰკითხავთ,
ყველა გეტყვით მის ამბავს:
დიდით ადრე რომ ადგება,
მიაშურებს პირსაბანს.

მერე წიგნებს გადაფურცლავს
ჩემს ნაჩუქარ—სახსოვრებს,
დექს ზეპირად დაისწავდის,
ზღაპრებს დაიმახსოვრებს.

8
773
თათლის ქურდი ფიგონა,
მეგობარი მტრად იცნეს
და საბრალო დათუნა
ისრით ისე დაისრეს,

ცხვირ-პირს ვერც კი იფარავს
დასიებულ თათებით!..
შეგებრალო, ვუშველეთ.
აღარ ვეკამათებთ.

ჩვენი დათო დათუნა
ჯერ ხომ დათვის ბელია,
რაა სკა არ იცოდეს,
განა საკვირველია?!

ალბათ რისთვის დასაჯეს,
ისიც არ ვაფეგება...
ისრით აგრე დაისრულს
თათლი მაინც ეგემა!

დრო გაივლის, გარემოს
გაცენობა და მაშინ
ნახეთ მისი ბიჭობა,
ნახეთ მისი თამაში!





სელმწიფე და ოზოლი

ქ. ახახია

ნახატი მ. რინიჭვილიძე

(გავიზილი ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ასირებუ-
ლი სელმწიფე. ძალიან უკვარდა ზღაპრებისა და
ამბების მოსმენა, ოღონდაც მოამბეს გულს უწუა-
ლებდა შეკითხვებით: „შერე, შერეო!“ ამ „შერე-
შერეო“ მასილით სდლხს იაფი მომესრებული
ქონდა. ერთმა ობოლმა ბიჭმა გაიგო ეს ამბავი
და სელმწიფეს ეახლა. ბიჭმა დაიწყო:

- იყო ერთი შეფე...
- შერე?
- სივიდა მასიან ერთი მოხადირე...
- შერე?
- ძიფუკნა ორი ჩიტე...
- შერე?
- იმ მოხადირემ ოთხი ჩინი რამოტრა...
- შერე?
- ორი ერთ მხარეს დახო, ორიც — შერე

შხარეს.

- შერე?
- ჩხირებზე ჯიხები დაჯრა...
- შერე?
- ჯოხებზე ჩირები შემოწე...
- შერე?
- ჩიტები გადაფორინდობდნენ...
- შერე?
- გადმოფორინდობდნენ...
- შერე?
- გადაფორინდობდნენ...
- შერე?
- გადმოფორინდობდნენ...

იმასა ასირებულმა სელმწიფემ „შერე-შერეო“-
იმასა ბიჭმა „გადაფორინდობდნენ-გადმოფორინდ-
ობდნენო“...

ბოლოს სელმწიფე გაბრაზდა და იყვირა:
— რა ამბავია ამდენი გადაფორინდ-გადმო-
ფორინდობდნენო?

— ტყუილს რომ ვერ გვადრებთ, დიღო შე-
ფეო, იქვენ რამდენი „შერე“ პრძნეთ, ჩიტებიც
იმდენჯერ გადაფორინდ-გადმოფორინდნენ და რა
ჩემი ბრალია, — მიუგო ობოლმა.

სელმწიფეს გაეცინა, მახუსი მოეწონა და ბიჭი
უხვად დაავიღო.

ამბობენ, სელმწიფეს ამის შემდეგ „შერე-
შერეო“ ადარაფინ შეუწუხებიაო.



თ. კვიციანიძე

ვილას ეთამაშები

გივი, აგრე ნაწყენი
რად გაუშვი ბავშვები?
ყველას თუ გაეზუტე.
ვილას ეთამაშები?!



მ. შარაზადიშვილი

გზა მოგვესი

არ ამინებო მანქანები,
არც ურემი, არც ცხენი,
მარჯვენით რღმ ვაშლს
მიირთმევს,
კალთას იწევს მარჯვნივთ.

დადგა ქუჩის მუაგულში,
გულადია როგორი,
შეაჩერეს მანქანები:
— გზა მოგვევი, გოგონი!

ბ. კალანდია

მახრა

რაც ყოფილა მახრა!
მთელი ბალი დახრა,
გადაუჭრა ფესვი
და გაგვიხმო წესვი.
დავიჭირით მახრა,
თავში თოხნი დავკრათ.

ნახატები ირ. არღიშვილი

მ. აბრამიშვილი

შვილიშვილს!

დღითი დღე
წითლდებო,
დღითი დღე
მწიფდებო,
ჩიტები კენკავენ
მწიფე ბალს.
კენკავენ,
ტკბებიან,
არც ეკითხებიან—
ამ ბალს ვის უნახავს
ბებიო?!



6-39/121



„თხილაშუკი“ ნახტი ვაჟა მდივანისა
(7 წლის. ქუთაისი)



„ბრძოლა“ (პლასტილინი)
ნადერწი გურამ მაიაშვილისა (6 წლის. თბილისი)



„ზღვის პირი“ ნახტი არჩილ ჰეიშვილისა
(7 წლის. ბათუმი).



„გოგონა“ ნახტი ნანა ცერცვაძისა
(6 წლის. ხაშური)



„პრემი“ (პლასტილინი)
ნადერწი ვაჟა კომუნაძისა. (8 წლის. თბილისი)

ყ დის მხატვრობა ეუთუნის რ. ხუჭიჩიძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მაცვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულძე, ნ. უნაჟქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) გამომცემის ოცდამეთორმეტი წელი შაში ე მან.

ტექ. რედაქტორი ი. არღვილი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

საბალბტბამი. რედაქციის მისამართი: თბილისი, პლუზნოვის პარკი. 91, ტელ. 3-27-38. ვაშოშვი. შ. 115. № 308. სტამბის შ. 115. № 681
ტიბაგი 20000 ხელმოწერილია დსსაბგმდამ 23/III 1959 წ. ფურალი დაეკვლია ლიოი-ოუსტერ ბეჭდვის უბრიკაში
Д И Л А — смешанный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 5, май 1959 г. Тбилиси, Приб. Плеханова 91.